წერილობითი განმავითარებელი უკუკავშირის გამოყენების გაუმჯობესება

მარიამ ონიანი, დალი ნემსაძე, ეკა გაბესკირია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიებისა და განათლების ფაკულტეტზე ზოგადი განათლების ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიურიხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

განათლების ადმინისტრირება

აკადემიური ხელმძღვანელი: ნათია ანდღულაძე, ასოცირებული პროფესორი

პროექტის ხელმძღვანელი: მაკა ლუთიძე, თბილისის სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის 23-ე საჯარო სკოლის დირექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

“როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

დალი ნემსაძე, 25/06/2024

მარიამ ონიანი, 25/06/2024

ეკა გაბესკირია, 25/06/2024”.

მადლობას ვუხდით სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. თბილისის N23 საჯარო სკოლის დირექტორს ქალბატონ მაკა ლუთიძეს, რომლის მხარდაჭერა და თანამშრომლობა ძალიან მნიშვნელოვანი იყო კვლევის პროცესში. ასევე, გულწრფელ მადლობას ვუხდით კვლევის ყველა მონაწილეს გაწეული შრომისათვის, გამოცდილების გაზიარებისა და დათმობილი დროისთვის.

გვინდა დიდი მადლიერება გამოვხატოთ სკოლის სასწავლო ნაწილის, მეგი შავკაციშვილისადმი, რომლის დახმარებითაც კველვა წარმატებით განხორციელდა. ნამდვილად დასაფასებელია ქალბატონი მეგის ჩართულობა, ღიაობა და სურვილი, გაუმჯობესდეს სწავლებისა და შეფასების ხარისხი.

განსაკუთრებულად დიდ მადლობას ვუხდით ჩვენს აკადემიურ ხელმძღვანელს, ქალბატონ ნათია ანდღულაძეს. ჩვენთვის დიდი პატივი იყო გვესწავლა მისგან და აგვეღო მაგალითები მისი პროფესიული გამოცდილებიდან.

აბსტრაქტი

განმავითარებელ უკუკავშირს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სასწავლო პროცესში, რადგან ის ეხმარება მოსწავლეებს დააკვირდნენ საკუთარ პროგრესს და იმუშაონ გაუმჯობესების სფეროებზე. ეფექტური განმავითარებელი უკუკავშირი სპეციფიკური, დროული და ქმედითუნარიანია, რაც მოსწავლეებს აძლევს საშუალებას გააუმჯობესონ ამა თუ იმ საგანში შესრულების დონე. ეს კვლევა ხაზს უსვამს იმ კრიტიკულ როლს, რომელსაც კარგად სტრუქტურირებული წერილობითი უკუკავშირი თამაშობს საგანმანათლებლო შედეგებში.

ეფექტიანი განმავითარებელი უკუკავშირი აუცილებელია მოსწავლეთა სწავლის გასაუმჯობესებლად, თუმცა მასწავლებლები ხშირად აწყდებიან დროის მნიშვნელოვან შეზღუდვებს, რაც ხელს უშლის მათ შესაძლებლობას მიაწოდონ დეტალური და ინდივიდუალური კომენტარები მოსწავლეებს. ჩვენი პრაქტიკის კვლევა ფოკუსირებულია წერილობითი განმავითარებელი უკუკავშირის გამოყენების გაუმჯობესებაზე, სტანდარტიზებული უკუკავშირის ბანკის შემუშავებითა და დანერგვით ერთობლივ ციფრულ სამუშაო სივრცეში. შერეული მეთოდების მიდგომის გამოყენებით, კვლევა აერთიანებს თვისებრივ და რაოდენობრივ მონაცემთა შეგროვების ტექნიკას, მათ შორის ნახევრად სტრუქტურირებულ ინტერვიუებს, კითხვარებს და დოკუმენტაციის, კერძოდ კი შემაჯამებელ დავალებათა შეფასების კრიტერიუმების ანალიზს. კვლევა ასახავს მასწავლებლების წინაშე არსებულ ძირითად გამოწვევებს, როგორიცაა დროის შეზღუდვები, მოსწავლეთა რაოდენობა, ტექნოლოგიური ბარიერები და ფორმალური ტრენინგის ნაკლებობა უკუკავშირის პრაქტიკაში.

კვლევაში მოცემული ინტერვენცია - უკუკავშირის ბანკის შექმნა, მიზნად ისახავდა უკუკავშირის პროცესის გამარტივებას და სტანდარტიზაციას ადაპტირებადი უკუკავშირის შაბლონების შექმნის გზით. ეს შაბლონები შემუშავდა ერთობლივად

სკოლის სამ კათედრასთან თანამშრომლობით, კატეგორიზებული იყო შემაჯამებელი დავალების ტიპების მიხედვით და შეიქმნა ისე, რომ ადვილად ადაპტირებადი ყოფილიყო მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების მიხედვით.

ინტერვენციის შედეგები მიუთითებს, რომ უკუკავშირის ბანკმა მნიშვნელოვნად შეამცირა უკუკავშირის მიწოდების დრო და გახადა წერილობითი უკუკავშირი მეტად სტანდარტიზებული. ინტერვენციამ ასევე ხელი შეუწყო უფრო თანამშრომლობითი და დამხმარე სასწავლო გარემოს ჩამოყალიბებას, რაც სარგებელს მოუტანდა როგორც მასწავლებლებს, ასევე მოსწავლეებს.

სტანდარტიზებული უკუკავშირის ბანკის შემუშავებამ არა მხოლოდ დაზოგა მასწავლებლების დრო, არამედ გააუმჯობესა განმავითარებელი უკუკავშირის საერთო ხარისხი, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა სწავლის შედეგების გაუმჯობესებას. დასკვნები მხარს უჭერს ციფრული ინსტრუმენტებისა და თანამშრომლობითი სტრატეგიების მუდმივ გამოყენებას ეფექტური უკუკავშირის მიწოდებაში დაბრკოლებების დასაძლევად.

Abstract

Formative feedback plays a critical role in the learning process, enabling students to monitor their progress and focus on areas needing improvement. Effective formative feedback is characterized by its specificity, timeliness, and actionable nature, all of which allow students to enhance their performance in particular subjects. This study underscores the significant impact that well-structured written feedback can have on educational outcomes.

Despite the importance of effective formative feedback in enhancing student learning, teachers frequently encounter substantial time constraints that hinder their ability to provide detailed and individualized feedback to students. This study addresses these challenges by exploring ways to improve the delivery of written formative feedback through the development and implementation of a standardized feedback bank within a collaborative digital workspace. Employing a mixed methods approach, the research incorporates both qualitative and quantitative data collection techniques, including semi-structured interviews, questionnaires, and analysis of documentation, particularly summative assessment criteria.

The study identifies key challenges faced by teachers, such as time constraints, large student numbers, technological barriers, and a lack of formal training in feedback practices. To address these issues, the study introduced an intervention: the creation of a feedback bank designed to simplify and standardize the feedback process. This intervention involved the development of adaptable feedback templates, which were collaboratively created by the three departments of the school. These templates were categorized by summative task type and were designed to be easily customizable to meet the individual needs of students.

The results of the intervention demonstrate that the feedback bank significantly reduced the time required for feedback delivery and made written feedback more standardized. Additionally, the intervention fostered a more collaborative and supportive learning environment, benefiting both teachers and students. The development of a standardized

feedback bank not only saved teachers time but also improved the overall quality of formative feedback, contributing to better student learning outcomes. The findings advocate for the continued use of digital tools and collaborative strategies to overcome barriers to providing effective feedback.